ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N27

23 ივლისი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა. ლაშხი, მ. დარჩია, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. ფრიდონ ინჯია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. გიორგი ახვლედიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. რამინა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. გიორგი დოხტურიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
22. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
23. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

24. მიხეილ ამაშუკელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
25. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
26. ლევან ხაბეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
27. ლილე ლიპარტელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. ზაზა ცინაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
6. ნინო კვეტენაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი;
7. დავით ჯაიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031920332-03; 22.07.2019).**

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს, წარუდგინა მათ დღის წესრიგი, რომელიც კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ, რომლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილების მიზეზი არის მიღებული ორი გრანტის ბიუჯეტში ასახვა. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში" სახსრებიდან, პროექტის - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების გარდაქმნა ბუნებრივ ტყეებად" განხორციელებისთვის გრანტის სახით მისაღები 159,4 ათასი ლარისა და მუნიციპალიტეტს და ააიპ „Rockeffeler Philanthropy advisors, Inc- ფონდს" შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის" ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების 6 თვით გაგრძელებას და 2019 წელს დამატებით 9,6 ათასი ლარის ბიუჯეტში გათვალისწინება, რაც განკუთვნილი იქნება მერიაში აყვანილი სპეციალისტის ხელფასისთვის.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის თქმით, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, ასევე ხდება 13 091,9 ათასი ლარის გადანაწილება სხვადასხვა პროგრამასა და ქვეპროგრამაზე. მათ შორის, იზრდება: გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) - 1 710,5 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 262,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 4 556,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) - 400,0 ათასი ლარით; ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) –195,0 ათასი ლარით; ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 535,0 ათასი ლარით; სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 685,4 ათასი ლარით; ხოლო ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) – 700,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 346,8 ათასი ლარით; მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 210,0 ათასი ლარით. აგრეთვე, იზრდება სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 15,0 ათასი ლარით; სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 500,0 ათასი ლარით; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08

08 01) – 100,0 ათასი ლარით; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) – 130,0 ათასი ლარით; მერიის ადმინისტრაციის ასიგნებები (კოდი 10 02) – 659,6 ათასი ლარით; სარეზერვო ფონდი (კოდი 10 26) – 1 000,0 ათასი ლარით.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ინფორმაციით, ბიუჯეტს ემატება ახალი პროგრამა - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) და იგი განისაზღვრება 255,0 ათასი ლარის ოდენობით.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით, განათლებისა და კულტურის სფეროს მიმართულებით იცვლება შემდეგი საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნებები: ქვეპროგრამა სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 03) იზრდება 100,0 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, სოციალურად დაუცველი სტუდენტების და მეორე მხრივ, პროგრამის ეფექტიანობის ზრდის შედეგად, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სოციალურად დაუცველი სტუდენტების მომართვიანობის გაზრდით.

ქვეპროგრამა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) იზრდება 31,4 ათასი ლარით. აღნიშნული თანხა გადმოტანილია ქვეპროგრამიდან „კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (კოდი 08 04 04), რაც განპირობებულია ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებით. „მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობის” ასიგნებების ზრდა გამოწვეულია ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების - ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში“ სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ გასატარებელი სამუშაოებისთვის საჭირო დამატებითი ადამიანური რესურსების უზრუნველყოფით - 3 (სამი) შტატგარეშე მოსამსახურე. მუზეუმში დაგეგმილია 15 თემატური დარბაზის მოწყობა, სადაც განთავსებული იქნება მემორიალური ნივთები, საგამოფენო ობიექტები, ნაბეჭდი მასალა და ინსტალაციები. ასევე, მოეწყობა დროებითი საგამოფენო დარბაზი, სადაც ჩატარდება სხვადასხვა ტიპის საგამოფენო და სამეცნიერო ღონისძიებები. გარდა ამისა, მუზეუმში განთავსდება საგანმანათლებლო სივრცე, სახელოსნო და სამუზეუმო მაღაზია. მიმდინარეობს შენობის საექსპოზიციო კონცეფციაზე მუშაობა, მემორიალური ნივთების რესტავრაცია, მოძიება და საგამოფენო სივრეცეების გახსნასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები.

პროგრამა კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) იზრდება 650,0 ათასი ლარით, რაც დაკავშირებულია კულტურის მიმართულების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტთან “თბილისი - საფესტივალო ქალაქი“, რომლის ფარგლებში იგეგმება ახალი საერთაშორისო ფესტივალების მოწყობა. წლის განმავლობაში, აღნიშნული პროგრამის შედეგად, დაფინანსდა: საერთაშორისო ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები, სიმპოზიუმები, კონცერტები, დაძმობილებულ ქალაქებთან გაცვლითი კულტურული პროექტები.

პროგრამა ინკლუზიური განათლებისა და ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 13) იზრდება 50,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია მომართვიანობის გაზრდით.

პროგრამა კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) მცირდება 31,4 ათასი ლარით, რაც ტენდერებიდან მიღებული ეკონომიების შედეგია. თანხა გადადის ქვეპროგრამის „მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა“ (კოდი 08 03 12) საბიუჯეტო მუხლში.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ შემდეგში სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების გამორიცხვის მიზნით, განმარტა, რომ „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის“ ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში პირდაპირ არის მითითებული მრჩევლისთვის გათვალისწინებული 9 600 ლარი.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ თხოვნთ მიმართა საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომ როდესაც გამგეობებიდან მათ წარედგინებათ ბიუჯეტის ცვლილებებზე მოთხოვნა, ეს ინფორმაცია მიაწოდონ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებსაც, ვინაიდან მათში დეტალურადაა აღწერილი საბიუჯეტო გადანაწილებების მიზეზები და მიზნები, რასაც ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი ზარქუა დათანხმდა.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მიესალმება დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილების პროექტს, ვინაიდან იზრდება თანხები ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისთვის, რაც დეპუტატის თქმით, მნიშვნელოვან ჩემპიონატებსა და ტურნირებს მოხმარდება. აგრეთვე, გრძელდება და აქტიურად მიმდინარეობს 2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გაიოზ თალაკვაძემ, ირაკლი ზარქუამ, ნინო ლაცაბიძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	8
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა რომ:
კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ქეთევან ჯოხაძე